



სასაკი ჟურნალი

ვარდის კვნესა

ნიაზობდა ვარდი... მაგრამ მსწრაფლ ეკალი ჩაცხო და გაიბზარა საცოდავი—სულ კვნესოდა... სულ კვნესოდა... სატრფოვ! სატრფოვ! ერთხელ დილით შემოგოვდი ჩემთან ჩემად, ტუჩზე ტუჩი დამაფარე, თმა მომხვიე აბრეშუმად და მითხარი: „წუხელ ჩემს თვალს არ უნახავს ერთ წუთს რული, ვარდი ჰკვნესდა ჩვენს ბაღში ეკლის კალმით გაკაწრული, მეცოდება... მეც მაკვნესებს ვარდის კვნესა, კვნესა მწველი, ბარემ მოგვკლათ, რომ ელირსოს მას სიკვდილი უტანჯველი“ სთქვი და მართლაც შენ ის ვარდი, ვარდი წითლად მოლაღდადე მოიტანე და ჩემს წიგნში—ჩემს ლექსებთან—თრთოლვით ჩადე.

ო, მას შემდეგ გაიარა უამრავმა დღემ და წელმა, ო, მეც ბევრჯერ ამაკვნესა ხან ღიმილმა, ხან ნალექმა, ბევრ ვარდს ვუძღვენი ჩემი გრძობა, ბევრმაც მიძღვნა სიყვარული, მაგრამ თურმე სხვა ყოფილა ვარდი ეკლით გაბზარული. სატრფოვ! სატრფოვ! რომ იმ ვარდის კვნესა აღარ მოგესმინა— შენ მოსწყვიტე ამიტომაც და ჩემს წიგნში მიე ბინა... მაგრამ შესცდი! სულ ამოდ დამანახვე სიბრალული, სულ ამოდ: იმ ვარდს დაჭრილს დღესაც სტიკვა ძველი წყლული; და თუმც დასკვნა იგი ვარდი, და თუმც წიგნში ჩაითესა, მაგრამ დღესაც გამოისმის იმ წიგნიდან ვარდის კვნესა.

ი. გრიშაშვილი.

17 სექტ.

გასეირნება

გიუ-დე-მოპასანისა.

ლაბიუზის და კომპ. მალაზის ბულვარტერი ლერა შეჩერდა კარებში. ჩამავალ მზის ბრწყინვალა სხივები თვალსა სჭრიდა მას. იგი მთელი დღე მუშაობდა გზის სანათის შუქზე პატარა ოთახში, რომელიც მალაზის უკან იყო მოთავსებული და რომლის ფანჯარა გადიოდა ქასავით ვიწრო და ღრმა ეზოში. ამ ოთახში ისე ბნელოდა, რომ ზაფხულშიაც კი, როცა მზეს ქახქახი გაუდიოდა, უსანათოდ შეიძებოდა მუშაობა მხოლოდ დღის თერთმეტიდან სამს საათამდე. ლერა კი აგერ ორმოცი წელიწადი იყო, ამ ოთახში ჰლევდა თვის დღეებსა.

ამას გარდა აქ სინესტე და სიცივეც იყო. ეზოდან ფანჯარაში მყრალი, მანენ სუნი შემოდოდა, როგორც ნარეცხის ორმოდან და მთელს ოთახში საძაგელი სუნი იდგა.

მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ლერა მოდიოდა ამ ციხეში დილის რვა საათზე და საღამოს შეიდამდე იჯდა; ერთგულადა მუშაობდა და თავაუღებლივ გამუდმებული სწერდა, ანგარიშობდა, ასწორებდა.

ლერამ ათას ხუთასი ფრანკით*) დაიწყო სამსახური, ეხლა კი სამი ათასს იღებდა. შეძლება არა ჰქონდა ცოლი შეერთო და ოჯახს მოჰკიდებოდა; ამიტომ არჩია უცოლოდ დარჩენა. სარტოდ საბრალო ლერა არაფრითა სტკებოდა და თითქმის არაფერი სურდა. მხოლოდ ხანდისხან, გაწამებული თავისი მძიმე, ერთგვარი მუშაობით, ისე, სიყვარულით წამოიძახებდა: „ოჰ, რა ტკბილადა ვცხოვრებდი, ხუთი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი რომ მქონოდა!“

მაგრამ ამისთანა შემოსავალზე მას ოცნებაც არ შეეძლო. მას ჰქონდა მხოლოდ პატარა ჯამაგირი, რომელსაც სულ ჰხარჯავდა.

ლერას მთელმა სიცოცხლემ ისე გაიარა, ერთგვარად, უცვლელად, მოწყენით. არც ღელვა, იმედიც კი არა. ოცნება არ შეეძლო და ჰაერში კოშკებს არ იზენებდა, როგორც უმრავლესობა ჩვენგანი; მეტად ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა, ნაკლები სურვილი.

იგი ოცდა ერთის წლისა იყო, როცა ლაბიუზისა და კომპ. მალაზიაში დაიწყო სამსახური და აქვე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე.

1858 წელს ლერას მამა მოუკვდა, მერმე მოუკვდა დედა 1859 წელს. მას უკან ერთგვარად მიჩანალებდნენ დღენი და მხოლოდ 1868 წელს სახლის პატრონმა მას ოთახის ქიზა მოუმატა და ის იძულებული იყო სხვაგან გადასულიყო. ლერას ცხოვრებაში ესეც ახალი ამბავი იყო.

ყოველ დილის ექვს საათზე საათის წკარუნზე გველ-ნაკბენივით წამოიჭრებოდა ხოლმე.


გარნა საათს მექანიზმი ორჯერ მოეშალა რაღაც ეშმაკის წყალობით, 1866 და 1874 წელს. ლერა უცბად წამოფარდებოდა ხოლმე, გაასწორებდა ლოგინს, გამოგვიდა ოთახს, გადასწმენდა მტვერს სავარძელზე და კამოღზე. ამას მთელი საათ ნახევარი უნდებოდა.

შემდეგ გამოვიდოდა, იყიდდა ლაპურის პურის საცობში თეთრს პურს და გზაში შესჭამდა. ამ საცობმა ლერას თვალწინ თერთმეტი პატრონი გამოიცვალა, მაგრამ მაინც ლაპურის საცობს ეძახდნენ. ამ გვარად ლერას მთელმა სიცოცხლემ მალაზის პატარა, ბნელ ოთახში გაიარა, რომლის კედლები ადამის ჟამიდან ერთი და იგივე შვალაურით იყო გაკრული. ჯერ ისევ სულ ახალგაზდა შევიდა ბრუმანის თანაშემწედ და იმედი ჰქონდა—ერთხელ მაინც იქნება მის ალაგს დავიჭერო.

*) ფრანკი—371/2 კ.—ია.



გერმანელების 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნის ყუმბარა რომელსაც რუსები „ჩამადნებს“ უწოდებენ.



42 სანტიმეტრიანი ყუმბარით მოთხრილი ორმო, რომელიც წვიმების შემდეგ ტბად იქცა.

ლერამ მართლაც დაიჭირა მისი ადგილი და ეხლა ალარაფერს მოელოდა.

ლერას არ ახსოვდა თვის სიცოცხლეში სხვა და სხვა მოგონებანი, რომლითაც სავსეა ყველას ცხოვრება; არ ახსოვდა მოულოდნელი შემთხვევები, გატაცება, სხვა და სხვა რომანიული ისტორიები, ხან მხიარული, ხან სევდის ამწვლელი, მოულოდნელი შეხვედრანი...

ყოველი დღე, კვირა, თვე, წელიწადი მისი სიცოცხლისა ერთ-ერთგან იყო, ერთი მეორის მზგავსი. ის ყოველ დღე დგებოდა ერთს და იმავე დროს, მიდიოდა მაღაზიაში, საუზნობდა შინ, სადილობდა, ცა იძინებდა. ერთი შემთხვევა არ იყო, რომ დაერღვია იმის ცხოვრების ერთგვარი მიმდინარეობა, მისი ჩვეულება, ქცევა, აზრები.

წინად, ძველ დროში, ლერა ჩაიხედავდა ხოლმე მრგვალ სარკეში, რომელიც მას მის წინამოადგილემ ბრუმანმა დაუტოვა, და ისწორებდა ქერა უღვაშებს და ასეთსავე, ქერა, ხუჭუჭა თმას; ეხლა კი, მაღაზიიდან წამოსვლისას ყოველ საღამოს ჰხედავდა ამავე სარკეში თვის უკვე ქალარა უღვაშებს და მოწველებილ თავს. ასე გაიარა ორმოცმა წელმა, გრძელმა და მოკლემ, ამომ, ცარიელმა, ვით ჩამოპირქუშებულმა, მოსაწყენმა დღემ, ისევე გულის გამწყალბებულმა, როგორც გულის გამწყალბებელია მძიმე, უძილო ღამის საათები. და ამ ორმოცი წლიდან ლერას არ დარჩენია არც ერთი მოგონება, ერთი დამალონებელი შემთხვევაც კი არა ჰქონია მამის სიკვდილის შემდეგ, არაფერი, სრულიად არაფერი.

ამ დღეს ბულალტერი ლერა დიდხანს იდგა მაღაზიის კარებში, ჩამავალ მზის ბრწყვილა სხივებით თვალ-მოჭრილი და იმის მაგიერ, რომ შინ წასულიყო, სურვილმა წამოუარა პატარა გაესეირნა სადილის წინ. წელიწადში მხოლოდ ხუთჯერ-ექვსჯერ თუ წამოუვლიდა ლერას ეს სურვილი.

ბულვარზე გავიდა. ახლად გაფურჩქნულ ხეებ ქვეშ ბლომად დატრიალობდნენ მოსეირნენი. გაზაფხულის საუცხოვო საღამო იყო, ერთი იმ ნაზ, თბილ საღამოთაგანი, რომელიც ალელვებს გულს და თითქოს ათრობს მას სიცოცხლის მშვენიერებით.

ლერა მიცუნტრუკებდა მოხუცის ნაბიჯით. იგი გავიდა ელისეს მინდორზე და სულ წინ მიდიოდა, წინ, გამოცოცხლებული ახალ-

გაზდობის ფშვინვით, რომელითაც თითქოს გაჟღინთული იყო მთელი ჰაერი.

ცას ლაბლაპი გაუდიოდა. „სატრიუმფო თალის“ ჩრდილი ნათლად ირკვევოდა ანთებულ ჰორიზონტის გულზე. ის, თითქოს მდევიაო, ისე იდგა და შორს უყურებდა, ცა როგორ იწვოდა. „სატრიუმფო თალამდე“ რომ მივიდა, მოხუცმა ბუჭალატერმა შიმშილი იგრძნო და სასადილოდ იქვე პატარა სასადილოში შებრუნდა.

მოუტანეს გემრიელი, შემწვარი ცხვრის ფეხი, სალათა და სატაცური. ლერას, ვგონებ, თავის დღეში არ უჭამია სადილი ასე გემრიელად. მან ყველს ნახევარ ბოთლი კარგი „ბორდო“ დააყოლა, შემდეგ ერთი ფინჯანი ყავა დალია, რასაც ძალიან იშვიათად სხადიოდა, ყავას შემდეგ კი ერთი ჭიქა „ფი-შამპანიც“ მიაყოლა.

მოხუცი ლერა ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი სადილისა და ძალიან მხიარულადა გრძნობდა თავსა, ვგონებ ცოტა გალიზიანებულადაც. „რა მშვენიერი საღამოა!“ წაილაპარაკა თავისთვის, დანახარჯს რომ გაუსწორდა, „ურთიგო არ იქმნება, რომ ბულონის ტყის პირამდე გავისეირნო, მშვენიერი იქმნება, მშვენიერი“!

იგი ადგა და წავიდა. გონებაში სულ ძველი სიმღერა უტრიალებდა, ოდესღაც რომ მისი ერთი მეზობელი ქალი მღეროდა ხოლმე.

ტყე რა შეიმოსება,
მეგობარი მეუბნება:

წამო, მტრედო, ვიქეიფოთ
იქ, თანჩატურში.

ლერა სულ ამ სიმღერასა ჰლიინებდა. ღამემ თვის სახურავი გადაათარა პარისს, თბილმა, მშვიდმა ღამემ, ბუჭალატერი ბულონის ტყის ხეივანზე მიდიოდა და წინ შემოყრილ ეტლებს თვალს არ აშორებდა. ეტლები თვის ცეცხლის თვალებით სწრაფად უახლოვდებოდნენ მას და სწრაფადვე ჰჭრებოდნენ, ისე რომ ლერა ერთის თვალის დაკვრით ჰხედავდა მხოლოდ ეტლში ჩახუტულ წყვილს — ქალს, ღია-ფერ ტანისამოსში და კაცის გაურკვეველ მოყვანილობას.

ეს შეეყარებულთა გრძელი პროცესია იყო, რომელიც ეტლებით დასეირნობდნენ საუცხოვო, მთვარიან ღამეს. ისინი ერთი-მეორეს მოსდევდნენ, მოსრიალობდნენ მის წინ და ზანტად გადაწოლილიყვნენ ეტლში უკან, რბილს ბალიშებზე, ერთმანეთს მიხუტულნი, უტყვნი, თვის გრძნობით აღტყინებულნი, მთრთოლვარენი ვნებით და იმ წუთის სიახლოვით, როცა ისინი ერთმანეთს მხურვალედ ჩაეკვროდნენ. თბილი ჰაერი მთლად გაჟღინთილი იყო ამ ხვევით. კოცნით ჰაერი მძიმდებოდა, კაცს სული უფუბდებოდა ამ მოყიქებულ სინაზისგან და ვნებისგან. ეს ჩახუტული წყვილი, დამთვრალნი ერთი და იგივე სურვილით, ერთი და იგივე აზრით, თავის ვნების ციებ-ციხელებით შხამავდნენ გარეშემოთაც. აღერსით სავსე ეტლები თითქოს გზაზე სტოვებდნენ ნაწილს მათში მჯდომთა გაბრუებისას, ვნებით დათრობისას...



ჯ.-კ. ვარდენ ბარბაძე
(ტყვედა წაყვანილი).

ჯ.-კ. კოლია სვანიძე
(დაჭ.)

ქ მ ა ნ ი ც ვ ც ხ ლ ა ქ ე ე ზ ი
ლიომიდე (მოკლულია).

მონასე (დაჭრილია).

ლერა ცოტა დაიღალა ხანგრძლივი სიარულით და სკამზე ჩა-
ჯდა, რომ გამვლელ-გამომვლელთათვის ეცქირა. თითქმის იმ წამ-
ზე მივიდა ერთი ქალი და მას გვერდით მოუჯდა.

— გამარჯობა, ჩემო მტრედო! — უთხრა მან ლერას.

ლერამ ხმა არ გასცა. ქალმა განაგრძო:

— ნება მომე შევიყვარო, ჩემო ანგელოზო; ნახავ, არც ისე
უღლი ვარ!

— თქვენ სცდებით, ქალბატონო, — წაიბურტყუნა ლერამ.

— ჰო, კმარა, ნუ სულელობ, გამიგონე... განაგრძობდა ქალი
და ხელზე წაავლო ხელი.

ლერა ადგა და გულის ტკენით განშორდა.

რამდენიმე ნაბიჯის იქით ლერას მეორე ქალი აეტორღიალა.

— ჰა, ლამაზო, არ გინდა გვერდი დამიმშვენო? — ეუბნება იგი
ხეუც ბუჭალატერს.

— აქეთ რა გინდოდით, რად წამოხვედით? — ჰკითხა ლერამ.

ქალი გაჩერდა მის წინ და განაგრძო უკვე სხვა, ბოროტი,
ჩინწიანი ხმით:

— რასაკვირველია სასიამოვნოდ არა...

— რად, რად?... — რბილის ხმით აცვივდებოდა ლერა.

— ჰამა გვინდა, შე ბრიყვო, შენა, — წაიბურტყუნა ქალმა და
ანშორდა ჩუმი ლილინით.

ლერა შუა გზაზე იდგა, არ იცოდა რა ექნა. მის ახლოს სხვა
ქალები მიდიოდნენ, იწვევდნენ მას, ეპატიებოდნენ... ხეივანში
დავ დასრიალობდნენ დახურული ეტლები. ლერა ისევ ჩამოჯდა
სკამზე.

— ტყუილად მოვედი! — გაიფიქრა მან, — ტყუილად ავიღელვე
ავი.

და დაიწყო ფიქრი ამ სიყვარულზე, რომელიც ხელოვნური
ყოფნით სავსე, დაიწყო ფიქრი ყველა ამ წმიდა და ნასყიდ
ქონაზე, რომელიც მის წინ ეტლში მიფრინ-მოფრინავდა.

სიყვარული! თვითონაც არ იცოდა ეს სიტყვა. მთელ თავის
სიცოცხლეში მხოლოდ ორ-სამ ქალთან ჰქონდა საქმე და ისიც შემ-
თხვევით. ხომ საშუალება არა ჰქონდა, რომ ამ მედიდურობით გაე-
მხივებინა თავი. ლერას უნებლად გაახსენდა თავისი ცხოვრება,
რომელიც არა ჰგავდა სხვებისას, ცხოვრება ისეთი მოსაწყენი, ერთ-
გვაროვანი, ბნელი, ცარიელი!

არიან ისეთნი, რომელთაც მართლაც ბედი არ სწყალობთ
საფერში. ლერას თვალწინ თითქოს გაიჩნდა რაღაცა სქელი ფარ-
ი და მან პირველად იხილა მთელი არარაობა თვის არსებობისა.
უხარებელი წარსული, გაუხარებელი აწმყო და გაუხარებელი მო-
ვალე. უკანასკნელი დღენიც ისეთივე მკმუნვარეა, ვით პირველი.
მის სიცარიელე, სიცარიელე წარსულში, სიცარიელე ირგვლივ, სი-
ცარიელე გულში, ყველგან სიცარიელე.

ეტლებს თითქოს ბოლო აღარ უჩანდა. ლერას წინ კვლავ ერ-
მეორეს მიჰქონდა ერთმანეთს მოხვეული სულ ახალ-ახალი წყვი-
ლები. ბუჭალატერს ეგონა, თითქოს მის წინ მიდიოდა მთელი კა-
ბორიობა, დამთვრალი სიხარულით, სიმხიარულით, ბედნიერებით.
მტრე ის კი შაჰყურებდა ყველა ამას, მარტო, მარტოდ-მარტო და
სადაც მარტოკა იქნება, მუდამ მარტოკა, მარტოკა, როგორც სხვა
თავის ქვეყანაზე!

მოხუცი ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, შემდეგ უკებ დაი-
წია, თითქოს დიდხანს ისეირნაო, და ხელმეორედ ჩამოჯდა სკამზე.

რადას ელოდა წინ? რის იმედო ჰქონდა? აღარაფრის. ის ფიქ-
რობდა, რომ უეჭველია სასიამოვნო უნდა ყოფილიყო სიბერის დროს,
რომ დაბრუნდები შინ და შორიდან შემოგესებება ბავშვების ტიქტი-
კი. რა ტკბილია, დაბერდე ოჯახში, შეიღებ შორის; რა საამოა,
როცა იცი, რომ შათ უყვარხარ, გეაღერებია; როცა ისმენ მათ
საამო სისულელეებს, რომელიც ისე ვითობს გულს და უბედურე-
ბის დროს გამხნეებს!

ლერას მოაგონდა თავისი ცარიელი ოთახი, ისეთი პატარა,
სუფთა, მაგრამ მღუმარე, მკმუნვარე, სადაც არას დროს არავინ შე-
სულა იმის მეტი და გულზე ბოღმა შემოაწვა. ის პაწია ოთახი ეხლა
უფრო უბადრუკი, ცარიელი ეჩვენა, ვიდრე მისი ბიურო მალაზიაში.

არავინ არ შესულა მის ნაღვლიან ოთახში, არას დროს არა-
ვის არ დაულაპარაკნია. იგი მკვდარი იყო, მუნჯი, ადამიანის ხმა არ
გაეგონა. ხომ თვით ოთახის კედლებში თითქოს დარჩება ხოლმე
მუდამ რაღაცა იმ ხალხის, რომელიც იქ სცხოვრობდა, დარჩება რა-
ღაცა მათი სიარულის, მათი სახის, მათი ლაპარაკის. ის სახლი, სა-
დაც ბედნიერი ოჯახი სცხოვრობდა, თითქოს უფრო მხიარული ეჩვე-
ნება იმ სახლზე, სადაც უბედურთ შეუფარებიათ თავი. ლერას ოთახ-
ში კი იმ ხალხის მოგონების ნიშანიც კი არ იყო, რომელიც მის
წინ სცხოვრობდნენ იქ, ის ცარიელი იყო, ცარიელი, ვით მთელი მი-
სი სიცოცხლე!.. ლერა შეხტა, შებრუნდა იმის გახსენებაზე, რომ იგი
ისევ მარტოკა უნდა დაბრუნდეს იმ ოთახში, გაიხადოს ტანთ და
დაწვეს იმავე მოძრაობით, იმავე ჩვეულებით, როგორც მთელს თვის
სიცოცხლეში იხდიდა და წვებოდა ლოგინში. თითქოს უნდა რა-
გორმე გააგრძელოს თვის ნაღვლიან ოთახში დაბრუნების მოახლო-
ვებული წამი, ლერა ადგა, შეუხვია ტყეში პირველ გზაზევე და
შევიდა ტვერში, რომ იქ დამჯდარიყო ბალახზე...

მას ესმოდა ირგვლივ ყველგან, ზევით, ქვევით, რაღაცა გაურ-
კვეველი და განუწყვეტელი გუგუნე, თითქოს ვიღაცის უამრავი ხმა,
შერეული სულ სხვა და სხვაგვარ ხმაურობასთანაო; ყრუ, მახლობე-
ლი და შორეული გუგუნე, რაღაცა ქოთქოთი, გრვინვა ცხოვრების
ტალღისა. ეს პარიზი ჰფეთქდა.

შე უკვე მალა იდგა და თავის სხივები ბულონის ტყისთვის
მიმოიფანტა. ხეივანებში გამოჩნდნენ ეტლები. აქა იქ მხიარულად
მოაჭენებდნენ ცხენებს მხედრები.

ტყის ერთ-ერთ ბილიკზე ნელა მოდიოდა ქალ-ვაჟი. ქალმა თა-
ვი მალა აიღო და უკებ რაღაცა შავს მოჭკრა ფოთლებში თვალი.
იგი შჩერდა, ხელი გაიშვირა და შიშით შეჰყვირა:

— შეხე!.. აის რა არის?


მერმე ხმა მალა დაიკვილა და გულწასული მკერდზე დაეცა
ყმაწვილ კაცს. იგიც იძულებული იყო დაეჭირა იგი და ფრთხილად
დაეშვა მიწაზე.

დაუძახეს ყარაულებს და მალე ტვერიდან გამიტანეს შარვლის
ასაჭირავ თასმით ჩამომხრჩვალი მოხუცის გვამი.

ექიმმა დაამოწმა, რომ წუხელ სალამოს ჩამოუხრჩვია თავიო.
ჯიბეში ჩამომხრჩვალს ქალაღებები უპოვეს და იმით გაიგეს, რომ იგი
მსახურებდა ბუღალატრად ლაბიუზის და კომპ. მალაზიაში და რომ
მისი გვარი ლერა იყო.

მიზეზი თავის დახრჩობისა ვერავინ გაიგო. ამბობდნენ, რომ
საბრალო ალბად გონებიდან შეირყა თავი იმიტომ ჩამოიხრჩოვო.

სანგანიძე.



გაქვანეთი